



*მოდიფიცირებულია და განხილულია  
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
დამტკიცებულია  
თჰუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის  
25 ნოემბრის N6/2013 გადაწყვეტილებით  
თჰუ რექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის N108/07 ბრძანებით*

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ჯანდაცვის ფაკულტეტი

პროგრამის სახელწოდება - დიპლომირებული სტომატოლოგი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული სტომატოლოგი /**Doctor of Dental  
Medicine/**

მიმართულება - 09 – ჯანდაცვა

დარგი / სპეციალობა – 0902 სტომატოლოგია

ქვედარგი/სპეციალიზაცია-090201 დიპლომირებული სტომატოლოგი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით და საათებით - 300 კრედიტი (7500 სთ.).

ერთი კრედიტი - 25 საათია, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 19 კვირაა, 1 სემესტრის მანძილზე სტუდენტი აგროვებს 30 კრედიტს

სწავლების ენა - ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი- სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი: მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე (იხ. რეზიუმე –CV).

## 1.სფეროს აღწერა

საქართველოს კანონით "საექიმო საქმიანობის შესახებ" საექიმო საქმიანობა არის: „მედიცინაში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება“. წარმოადგენს რა წარმატებული საექიმო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას, დიპლომამდელი სამედიცინო განათლების ხარისხი, მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან (მათ შორის სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებთან) მეტად აქტუალური პრობლემაა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. სამედიცინო საქმეში აუცილებელია არა მარტო თეორიული ცოდნის მიღება, არამედ კლინიკური უნარების გამომუშავება და ამ პროფესიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების/დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

XXI საუკუნეში სტომატოლოგია წარმოადგენს მედიცინის ფართო დარგს, რომელიც შედგება დამოუკიდებელი დისციპლინებისაგან, თითოეული მათგანი ინტენსიურად ვითარდება. მუდმივად იქმნება ახალი სამკურნალო ტექნოლოგიები და დიაგნოსტიკის მეთოდები. შესაბამისად, ექიმი-სტომატოლოგი უნდა იყოს საკმაოდ ერუდირებული, მაღალ დონეზე ფლობდეს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და უნდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომ უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის მიმართულების მიზანია მოამზადოს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი ექიმი-ზოგადი პროფილის სტომატოლოგი, რომელსაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ: ეცოდინება საბაზისო ბიოსამედიცინო და სოციალური მეცნიერებები; შეიძენს ზოგად კლინიკურ უნარებს; გადაწყვეტილების მიღების უნარებს; სამედიცინო ეთიკას.

პროგრამა ორიენტირებულია მსოფლიო სამედიცინო განათლების ფედერაციის მიერ შემოთავაზებულ კრიტერიუმებზე და შესაბამისობაშია საერთაშორისო სასწავლო პროგრამებთან. ამასთან ერთად გათვალისწინებულია საქართველოს სტომატოლოგიური სკოლის მრავალწლიანი კლინიკური და პედაგოგიური გამოცდილება.

შესაბამისად, სტომატოლოგიის პროგრამა შედგენილია ისეთი თანმიმდევრობით, რომ სტუდენტები თანმიმდევრულად სწავლობენ ფუნდამენტურ და ზოგად კლინიკურ დისციპლინებს (ბიოლოგიას, ანატომიას, ნორმალურ და პათოლოგიურ ფიზიოლოგიას, სამედიცინო და ბიოლოგიურ ქიმიას, მიკრობიოლოგიას, იმუნოლოგიას, ბიოფიზიკას, ჰისტოლოგიას, პათანატომიას და სხვ. ამ საგნების სწავლისას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება სტომატოლოგიის სპეციფიკურ საკითხებს.

სტუდენტები სპეციალობას ეცნობიან შესავალი კურსებით უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიებსა და კლინიკებში და იღებენ პრაქტიკულ უნარებს. შემგომი სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სპეციალიზირებულ კლინიკებში, თერაპიულ, ქირურგიულ, ორთოპედიულ სტომატოლოგიაში და სხვ.

სასწავლო პროგრამა დაფუძნებულია ადამიანის ორგანიზმის აგებულების, მასში მიმდინარე ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების, დაავადებათა (სტომატოლოგიური და არასტომატოლოგიური) ეტიოლოგიისა და პათოგენეზის პათ.მორფოლოგიის კლინიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხების შესწავლაზე, რასაც შეადგენს:

- ადამიანის ორგანიზმის განვითარება (ბიოლოგია, გენეტიკა, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია);
- ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მექანიზმები (ბიოფიზიკა, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ჰიგიენა);
- დაავადების განვითარების მექანიზმები (პათოლოგიური ანატომია, პათოლოგიური ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია);
- დაავადებათა კლინიკური გამოვლენის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის პრინციპები. ( ქირურგიული სნეულებანი, შინაგანი სნეულებანი; პედიატრია; ინფექციური სნეულებანი; კანისა და ვენსნეულებანი; ფსიქიატრია; ალერგოლოგია, კლინიკური იმუნოლოგია; თვალის სნეულებანი; სასამართლო მედიცინა; ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებანი; ნევროლოგია; მეანობა და გინეკოლოგია და სხვ.

სპეციალობის სავალდებულო დისციპლინათა შორის იკითხება: სტომატოლოგიურ დაავადებათა პროპედევტიკა, ოპერაციული ოდონტოლოგია, კბილთა რესტავრაცია; სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა, ენდოდონტია, პაროდონტოლოგია, ლორწოვანი გარსის დაავადებები; ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია; პირის ღრუს ქირურგია; ყბა-სახის ქირურგია; ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია; პირის ღრუს, თავისა და კისრის რადიოლოგია; იმპლანტოლოგიის საფუძვლები; პირის ღრუს, თავისა და კისრის ონკოლოგია; ორთოდონტია და ბავშვთა პროტეზირება; ორთოპედიული სტომატოლოგიის სრული კურსი.

## 2. პროგრამის მიზანი

დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრები ზოგად სტომატოლოგიაში, აღზარდოს დიპლომირებული ექიმი-სტომატოლოგები, რომლებსაც:

- აქვთ სტომატოლოგიური პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საბაზისო და კლინიკური მეცნიერებების ცოდნა;
- ფლობენ ზოგად კლინიკურ უნარ-ჩვევებს;
- შეუძლიათ სამეცნიერო მეთოდების შერჩევა და მათი გამოყენება კლინიკური მეთოდების გადასაწყვეტად;
- შეუძლიათ კრიტიკულად შეაფასონ სამეცნიერო და კლინიკური სიახლეები და მათი საშუალებით გააუმჯობესონ პრაქტიკული საქმიანობა;
- შეგნებული აქვთ უწყვეტი სტომატოლოგიური განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა.

### პროგრამის ამოცანები:

- დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ღონისძიებათა განსახორციელებლად აუცილებელი საბაზისო და კლინიკური ცოდნის მიცემა;
- პროფესიული და კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისება;
- პაციენტის მკურნალობისა და ჯანდაცვის სფეროს სხვადასხვა წარმომადგენლებთან თანამშრომლობის უნარის ფლობა ჯანდაცვის სისტემის საგანმანათლებლო საფუძვლების ცოდნის და პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარის შექმნა.

### 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ა) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს პირი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოპოვებული სწავლის უფლებით.

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება აბიტურიენტის არჩევით: ბიოლოგია ან/და ქიმია.

დ) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

### 4. პროგრამის სწავლის შედეგები (დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები)

ექიმ-სტომატოლოგის მომზადება უზრუნველყოფს რიგი კომპეტენციების ფორმირებას:

*აკადემიური კომპეტენციები*, რომელიც მოიცავს ნასწავლი დისციპლინების ცოდნასა და გაცნობიერებას და სწავლის უნარს;

*სოციალურ-პიროვნული კომპეტენციები*, რომელიც მოიცავს კულტურასა და ღირებულებებზე ორიენტაციას, საზოგადოების და ქვეყნის იდეოლოგიური, ზნეობრივი ღირებულებების ცოდნას; დეონტოლოგიის უნარების გამოყენებას, სამედიცინო ეთიკის ნორმების ცოდნასა და დაცვას.

*პროფესიული კომპეტენციები*, რომელიც მოიცავს ცოდნისა და უნარების ერთობლიობას პრობლემების, ამოცანების გადაჭრაში, გეგმების შემუშავებაში და მათ შესრულების უზრუნველყოფას არჩეულ სფეროსა და პროფესიულ საქმიანობაში.

უმადლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მეორე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის თანახმად, დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად, პროგრამის მიზნებიდან და უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს მიღწეული ექნება ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი საფეხურის დონე, რაც მოიცავს ექვს კომპეტენციას:

**ცოდნა და გაცნობიერება** - პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს გააჩნია ძირითადი ფუნდამენტური და ზოგადი კლინიკური დისციპლინების და სტომატოლოგიის საკითხებთან მათი ურთიერთკავშირის ცოდნა და გაცნობიერება; სტომატოლოგიის დარგში კვლევის მეთოდებისა და უახლესი ტექნოლოგიების ცოდნა და გაცნობიერება; სტომატოლოგიის სფეროში საფუძვლიანი, ღრმა და სისტემური ცოდნის მიღება და უახლესი მეცნიერული ცოდნის ათვისება; საექიმო დეონტოლოგიის საფუძვლების ცოდნა და გაცნობიერება; სტომატოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის ზოგადი პრინციპების ცოდნა და გაცნობიერება; პირის ღრუს ქსოვილებისა და ორგანოების დაავადებათა სემიოტიკის ცოდნა და გაცნობიერება; პროფესიული უნარების დაუფლება სტომატოლოგიაში; პროფესიული სამედიცინო/სტომატოლოგიური ტერმინოლოგიის მაღალ დონეზე ფლობა, ცოდნა და გაცნობიერება; პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერება და პროფესიული სამედიცინო ეთიკის ნორმების ცოდნა და მათი დაცვა.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები** - პრაქტიკულ საქმიანობაში ბიომედიცინის მეცნიერებების მიღწევების გამოყენების უნარი; სტომატოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს ძირითადი სტომატოლოგიური დაავადებების მკურნალობის, დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და კლინიკური მიმდინარეობის საკითხების დაუფლება; ქირურგიულ, თერაპიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადება; პრაქტიკული სტომატოლოგიური უნარ\_ჩვევების გამომუშავება; **ახალი** სტომატოლოგიური ტექნოლოგიების დაუფლება; სტომატოლოგიურ მასალებთან, ტექნიკასა და მოწყობილობებთან უსაფრთხო ურთიერთდამოკიდებულებისა და მოხმარების ჩვევების გამომუშავება; დიფერენციალური დიაგნოსტიკის გატარება, კვლევის მეთოდების შერჩევა, დაავადების კლინიკური შეფასება; მკურნალობის სტრატეგიის შემუშავება; მის მიერ წარმოებული სტომატოლოგიური მომსახურების ეფექტიანობის შეფასება.

**დასკვნის უნარი** - სტომატოლოგიურ დარგში ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარება; პრობლემათა გადაჭრის ჩვევების გამომუშავება; სამეცნიერო და კლინიკური სიახლეების კრიტიკულად შეფასებისა და ანალიზის უნარის გამომუშავება და მათი საშუალებით პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესება; სამეცნიერო მეთოდების შერჩევა და მათი გამოყენება კლინიკური მეთოდების გადასაწყვეტად; სტომატოლოგიის სფეროში დაგეგმვის, კვლევის პროცესის წარმართვის, შემოწმება-შეფასების, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანისა და ანგარიშის შედგენის უნარ\_ჩვევების დემონსტრირება; სამედიცინო ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, შეფასება და ინტერპრეტაცია; სტომატოლოგიური პრინციპებისა და პრობლემების გადაჭრის მეთოდოლოგიის გამოყენება.

**კომუნიკაციის უნარი** - სამედიცინო პროფილის სპეცილისტისათვის პროფესიული სფეროს ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელია ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული ან რუსული), პროფესიული ლათინური ენის და სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლების ცოდნა და არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სამედიცინო ტექსტების გაგების უნარების დაუფლებით და უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობით. კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ერთ-ერთ უცხოურ ენაზე (ინგლისური, გერმანული ან რუსული), პროფესიულ დისკუსიასა და პოლემიკაში მონაწილეობა და გამოკვლევის საფუძველზე მიღებული შედეგის (სამედიცინო დიაგნოზის) წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარმოდგენა; ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული ან რუსული) ცოდნა B 2.2 დონეზე და აკმაყოფილებს ამ დონის 4-ვე ენობრივი კომპეტენციისადმი (აუდირება, კითხვა, წერა, საუბარი) წაყენებულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, სტუდენტი შეძლებს აუდირებას, კითხვას, საუბარს და წერას თანამედროვე რუსული ენის ნორმების დაცვით, კერძოდ:

**აუდირების მხრივ:** სტუდენტს გააჩნია დიდი მოცულობის გამონათქვამების გაგების/აღქმის უნარი სამედიცინო თემატიკაზე; საუბრის ზოგადი მიმართულების გაგების უნარი; საუბრის ცალკეული რეპლიკების გაგების უნარი; მოხსენების არსის გაგების უნარი

**კითხვის მხრივ:** ესმის ორიგინალური (მედიცინის საკითხებთან დაკავშირებული) ტექსტების ძირითადი შინაარსი; ესმის სტატიის ზოგადი შინაარსი; შეუძლია გაიგოს სხვადასხვა სამედიცინო შინაარსის ინფორმაცია; განცხადებების გაგება; ტექსტში საჭირო ინფორმაციის გამოყოფა; რეალური მოვლენების აღწერის გაგება.

**საუბრის მხრივ:** შეუძლია რეალურ მოვლენებზე ფაქტების მოკლედ გადმოცემა; სტატიის შინაარსის მოკლედ გადმოცემა; მოვლენების თანიმდევრული გადმოცემა; საკუთარი აზრის გამოხატვა; სიტუაციის დახასიათება.

**წერის მხრივ:** იცის საქმიანი წერილების შედგენისა და წერის წესები; პაციენტის ისტორიის შედგენის წესები და პრინციპები; ფლობს პროფესიულ თემატიკაზე მოხსენების წერის პრინციპებს და სტომატოლოგიურ ტერმინოლოგიას.

დამოუკიდებლად შეუძლია ორიენტირება უცხოურ საინფორმაციო სამედიცინო სივრცეში, შეუძლია საჭირო პროფესიული ინფორმაციის ოპერატიულად მოძიება, მისი სწორი სტრუქტურირება, პროფესიული, აუთენტური და სამეცნიერო ინფორმაციის განსხვავება და ლათინური ტერმინოლოგიის გამოყენება, მშობლიური და უცხოური ენის პროფესიული პრაქტიკის რეალურ სიტუაციებში გამოყენება. სტუდენტს გააჩნია სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარი: კერძოდ, დაუფლებულია სტომატოლოგიურ ტექნოლოგიებს; შეუძლია ინფორმაციული ტექნოლოგიური რესურსების, მათ შორის ელექტრონული ცხრილების, ტექსტების დამუშავებისა და სხვა სპეციალური პაკეტების კომპეტენტურად გამოყენება; სტომატოლოგიის დარგში არსებული ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; გააჩნია სამედიცინო ინფორმაციის დამუშავების პროცესების ცოდნა და საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების

პრაქტიკულად გამოყენების უნარების გამომუშავება ექიმ-სტომატოლოგის პროფესიული საქმიანობისათვის, გამომუშავებული აქვს სამედიცინო მონაცემთა ბაზებთან მუშაობის უნარები.

**სწავლის უნარი** - საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარის გამომუშავება სტომატოლოგიის დარგში არსებული რესურსებისა და მასალების გამოყენებით; განსხვავებულ სასწავლო პირობებში სწავლის უნარი; სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება; შეგნებული აქვთ უწყვეტი სტომატოლოგიური განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა და გააჩნიათ სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე და სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების უნარი.

**ღირებულებები** - ექიმ-სტომატოლოგის პროფესიისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სამედიცინო და ეთიკური ღირებულებებისა და საექიმო ეთიკის ნორმების დაცვის მენტალობის ფორმირება; დარგობრივი ღირებულებების (საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება და სხვ.) შეუძლია სამედიცინო და ეთიკური ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

## 5.სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესში ხდება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია, რაც ნიშნავს კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას ვირტუალური სიმულაციის ცენტრში (თჰუ სტომატოლოგიური კლინიკა) (I და ნაწილობრივ II კურსელთათვის) და კლინიკურ გარემოში (II-III-IV-V კურსელებისთვის, კლინიკური ბაზა).

პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა სასწავლო დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება **სწავლების შემდეგი მეთოდები**:

- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ სასწავლო დავალებას აძლევენ. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპს პრობლემის დასმით იწყებს.

- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
- **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
  - პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
  - დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
  - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
  - კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
  - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
  - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
- **როლური და სიტუაციური თამაშები** – სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს ამ თუ იმ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდება სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი თვალსაჩინოს ხდის სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხურს, აკონკრეტებს იმ სამუშაოს, რომლის შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**



სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** დაეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, რითაც მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

გარდა ტრადიციული აპრობირებული კლასიკური მეთოდებისა, ხდება ასევე მსოფლიოში აღიარებულ **სამედიცინო განათლების დარგში სწავლების მეთოდების** გამოყენება, ესენია:

**ა) ფანტომური კლასი**

ბ) **სტუდენტის პორთფოლიო** (სტუდენტის აქტივობის, მის მიერ შესრულებული დამოუკიდებელი სამუშაოს ხარისხის მაჩვენებელი) 5 წლის განმავლობაში).

გარდა ამისა, სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები:

- *ინტერაქტიური ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა*
- *კლინიკურ გარემოში სწავლება და კლინიკური ამოცანების გადაწყვეტა (მოდელზე ან პაციენტებზე მანუალური მოქმედებების შესრულება);*
- *პაციენტისა და ექიმის როლების შესრულება (სასწავლო როლური და საქმიანი თამაშები)*
- *კლინიკური გარჩევები (ავადმყოფის ისტორია)*
- *ლაბორატორიული სწავლება ან ლაბორატორიული პრაქტიკუმი, რაც გულისხმობს მასალათმცოდნეობრივი ობიექტების, ფანტომების, მულაჟების და მაკეტების და სხვა პრეპარატების შესწავლას);*
- *პრეზენტაციები*
- *სასწავლო/ კლინიკური პრაქტიკა*
- *კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება სიმულატორების და მულაჟების გამოყენებით*
- *ავადმყოფის ისტორიების შედგენა*

სწავლებისას გამოიყენება ინფორმაციულ-განმავითარებელი, აგრეთვე სწავლების ისეთი აქტიური მეთოდები, როგორცაა პრობლემურ-გამოკვლევითი, რეპროდუქციისა და შემოქმედებითი ჯგუფის მეთოდები.

აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ხდება სწავლების აქტივიზაცია, რაც სტუდენტში ახდენს შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებას, აჩვევს მას იაზროვნოს პროფესიულად. აღნიშნული მეთოდების გამოყენება მიზნად ისახავს დაინტერესოს სტუდენტი, შემოქმედებითად აქტიური და დამოუკიდებელი გახადოს იგი ცოდნის მარაგის დაგროვების პროცესში.

### 6. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების სისტემის კუთხით ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანებას N3 (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ) და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემას, რომელიც დამტკიცებულია თჰუ რექტორის 2012 წლის 16 ივნისის N69/07 ბრძანებით. აღნიშნული შიდასაუნივერსიტეტო რეგულაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია და ამ პროგრამის განუყოფელი ნაწილია.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა შემდეგ კომპონენტებზე იყოფა:

#### 1. აქტიურობა - მაქსიმუმ 30 ქულა

(სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, საკონტროლო სამუშაო, გუნდური ან პერსონალური პრეზენტაცია, წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები, ესეს შესრულება, რეფერატი ან სხვა სახის სამუშაო პედაგოგის შერჩევით)

#### 2. ორ შუალედური შეფასება - მაქსიმუმ 30 ქულა

ორი შუალედური გამოცდა (წერითი)  $-15+15=30$  ქულა

#### 3. დასკვნითი გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა

დასკვნითი გამოცდა ტარდება კომბინირებული სახით: ა) ზეპირი კომპონენტი (მაქსიმუმ 20 ქულა); ბ) წერითი კომპონენტი (მაქსიმუმ 20 ქულა).

დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად ქულათა საერთო რაოდენობის 51 % დაგროვების შემთხვევაში (21 ქულის დაგროვება 40 ქულიდან).

#### 4. საბოლოო შეფასება - მაქსიმუმ 100 ქულა.

**კანონმდებლობით დადგენილი შეფასების საერთო მოთხოვნები:**

- დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებებს;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

- საბოლოო შეფასების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა (11+40)
- სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (ტრიმესტრში) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50% მიღების შემთხვევაში.
- დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 კალენდარული დღისა.

**შეფასების სისტემა უშვებს:**

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა

სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები დეტალურად ჩაშლილია სილაბუსებში და გათვალისწინებულია საგნის სპეციფიკა

## 6.1. სასწავლო და კლინიკური პრაქტიკის განხორციელების პროცესი და შეფასების კრიტერიუმები

დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო და კლინიკური პრაქტიკების გავლა და წარმოადგენს სავალდებულო სასწავლო კურსს და პროგრამის განუყოფელ ნაწილს. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული და კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის:

სტუდენტის, უნივერსიტეტისა და დამსაქმებლებთან. სასწავლო-კლინიკური პრაქტიკა ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ (კლინიკურ ბაზებში). პრაქტიკის ობიექტი (პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია) ან მისი სტრუქტურული ერთეული არის სტომატოლოგიის დარგის შესაბამისი. სასწავლო-კლინიკური პრაქტიკას ხელმძღვანელობს პრაქტიკის ხელმძღვანელი (თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის წარმომადგენელი), რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის სილაბუსის განხორციელებაზე; პრაქტიკის ობიექტი გამოყოფს მენტორს, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის ობიექტში სტუდენტზე ზედამხედველობის განხორციელებაზე და უნივერსიტეტს უკავშირდება შესაბამისი კონტრაქტით; სასწავლო-საექიმო პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

კლინიკური პრაქტიკის სილაბუსში სავალდებულო წესით უნდა აისახოს: პრაქტიკის მიზნები; მისაღწევი სწავლის შედეგები; დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები; განხორციელების ადგილი და ვადები; პრაქტიკის პროცესში განსახორციელებული აქტივობა; სტუდენტის უფლებები და პასუხისმგებლობები; დღიურის წარმოების წესი; პრაქტიკის ანგარიში; პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები; პრაქტიკის განსაკუთრებული პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

### **პრაქტიკის შეფასება**

პრაქტიკის შეფასება ხდება ორ ეტაპად: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით.

პრაქტიკის შუალედური შეფასებისას, სტუდენტმა უნდა დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა და ითვალისწინებს 2 ეტაპს და კომპონენტს :

1) აქტიურობას პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას და შესრულებული სამუშაოს დემონსტრირებას - მაქსიმუმ 30 ქულა, რომელსაც აფასებს მენტორი/კლინიკის ხელმძღვანელი:

- კომუნიკაცია - 3 ქულა
- გუნდური მუშაობის უნარი - 3 ქულა
- შესრულებული სამუშაოს ხარისხი - 5 ქულა
- ორგანიზებულობა, თანმიმდევრულობა და პუნქტუალობა - 5 ქულა
- ინიციატივა და პასუხისმგებლობა - 3 ქულა
- მუშაობის ტემპი - 3 ქულა
- მუშაობის სისწორე - 3 ქულა
- შესრულებული სამუშაოს დემონსტრირება (ამ დროს ხდება დემონსტრირების მეთოდების გამოყენება, რაც გულისხმობს აუდიტორიის წინაშე პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას, შეფასების მიზნით) – 5 ქულა

2) პრაქტიკის დღიურის წარმოებას - მაქსიმუმ 30 ქულა

- 30-21 ქულა სტუდენტი სისტემატიურად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, ინიშნავს მონაცემებს, აღწერს ყოველკვირეულ/ყოველდღიურ შესრულებულ სამუშაოს, გადმოცემულია ის სიახლეები, რომელსაც სტუდენტი გაეცნო პრაქტიკის განხორციელების პროცესში, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით სტუდენტი აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს.

- 20-11 ქულა სტუდენტი დამაკმაყოფილებლად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, ინიშნავს მონაცემებს, არასრულად აღწერს ყოველკვირეულ/ყოველდღიურ შესრულებულ სამუშაოს, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით სტუდენტი აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს.

- 10-1 ქულა სტუდენტი არასრულად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, მოცემული სწავლის შედეგები არასრულია.

- 0 ქულა-სტუდენტმა საერთოდ ვერ ან არ აწარმოა პრაქტიკის დღიური და არ აქვს გაწერილი პრაქტიკული აქტივობები და სწავლის შედეგები.

**3) პრაქტიკის დასკვნითი შეფასება (მაქსიმუმ 40 ქულა), ახდენს პრაქტიკის პერიოდში მოღებულ კომპეტენციების დემონსტრირებას და ითვალისწინებს პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვას და შედეგა შემდეგი კომპონენტებისაგან:**

ა) გაფორმება და რეზიუმე, რომელიც ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს – 5 ქულა;

ბ) პრაქტიკის ობიექტის აღწერა, რომელიც ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე – 5 ქულა;

გ) პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი (რამდენად შეესაბამება პრაქტიკული საქმიანობა სასწავლო/საწარმო პროფესიული პრაქტიკის მიზნებს, რამდენად განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს) – 10 ქულა;

დ) დასკვნები და რეკომენდაციები – 5 ქულა;

ე) საჯარო პრეზენტაცია – 15:

**პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა/პრეზენტაცია - მაქსიმუმ 15 ქულა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:**

ა) შესაბამისობა პრეზენტაციის მიზნებთან - მაქსიმუმ 5 ქულა:

- პრეზენტაციას გააჩნია მიზანი და გადმოსცემს მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას პრეზენტაციის თემაზე - 5 ქულა

- მიზნები დასახულია, პრაქტიკის ანგარიში ნაწილობრივ შესაბამება დასახულ მიზნებს - 4-3 ქულა

- პრეზენტაციაში მიზანი ისახება, შინაარსი ცუდად არის გადმოცემული და მიზანი ბუნდოვანია- 2-1 ქულა

- პრეზენტაციის შინაარსი არ შეესაბამება პრეზენტაციის მიზნებს - 0 ქულა

ბ) პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე, წყაროების გამოყენება - მაქსიმუმ 5 ქულა

- პრეზენტაციას გააჩნია სრული მონაცემები, აღინიშნება სხვადასხვა წყაროების დიდი რაოდენობით გამოყენება - 5 ქულა

- შინაარსი სრულად არის გაშუქებული, გამონაკლისის სახით დაშვებულია შეცდომები, მწირია წყაროების გამოყენება - 4-3 ქულა

- შეზღუდულია მონაცემები, დასკვნები არ არის გაკეთებული, 1-2 წყაროა გამოყენებული - **2-1 ქულა**
- საერთოდ არ არის არც ერთი წყარო გამოყენებული, შინაარსი არ არის სწორად გადმოცემული, გაუგებარია - **0 ქულა**
- გ)პრეზენტაციის დიზაინი (გაფორმება)- მაქსიმუმ 3 ქულა**
- გაფორმების ყველა პუნქტი დაცულია, პრეზენტაციის ფონი კარგად აღიქმება, სლაიდები პრეზენტაციის თემის შესაბამისია, სლაიდების გაფორმებაში გამოყენებულია სხვადასხვა სახის საშუალებები: ანიმაციები, სურათები და სხვ. ობიექტები - **3 ქულა**
- ტიტული ნაწილობრივ გაფორმებულია, ყველა სურათი არ არის პრეზენტაციის თემის შესაბამისი - **2-1 ქულა**
- ტიტული არ არის გაფორმებული, არც ერთი პუნქტი არ არის სწორად მითითებული, სლაიდები და გაფორმების სხვა საშუალებები არ არის გამოყენებული - **0 ქულა**
- დ)პრეზენტაციის ტექნოლოგია/ კონტაქტი აუდიტორიასთან- მაქსიმუმ 2 ქულა**
- კონტაქტი აუდიტორიასთან დამყარებულია და ეფექტურია, მეტყველება სწორი, კარგი და საინტერესოა, აუდიტორიის რეაქცია ადეკვატურია - **2 ქულა**
- კონტაქტი აუდიტორიასთან სუსტია, ხანდახან უინტერესო, პრობლემების წამოჭრა არ ხდება, აუდიტორია განიცდის სირთულეს პრეზენტატორისა და პრეზენტაციის აღქმის პროცესში - **1 ქულა**
- კონტაქტი პრეზენტატორსა და აუდიტორიას შორის დაკარგულია, აუდიტორია ვერ აღიქვამს პრეზენტაციას - **0 ქულა**.

### 7.დასაქმების სფერო

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს იმუშაოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სამედიცინო დაწესებულებებში, სპეციალიზირებულ სტომატოლოგიურ კლინიკებში, პოლიკლინიკებში სტომატოლოგიის განყოფილებაში, კერძო სტომატოლოგიურ კაბინეტებში.დიპლომირებულ სტომატოლოგს შეუძლია:

- გაიაროს უმაღლესის შემდგომი პროფესიული მზადების კურსი და სახელმწიფო სასერთიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საქმიანობის უფლება სტომატოლოგიური პროფილის სამკურნალო- პროფილაქტიკურ დაწესებულებებში(მათ რიცხვში თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში არსებულ ჰოსპიტალებში);
- იმუშაოს უმცროს ექიმად ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან და სამედიცინო მომსახურეობასთან;
- განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სხვადასხვა სექტორში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას.

### 8.სწავლის გაგრძელების საშუალება

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა და სწავლა გააგრძელოს რეზიდენტურასა და დოქტორანტურაში.

**9.პროგრამის ანალოგი:** ანალოგიური პროგრამები ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გრ. რობაქიძის უნივერსიტეტში და სხვ. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება სწავლების პროცესში სტუდენტთა მობილობა. [/www.tsmu.edu.ge](http://www.tsmu.edu.ge), [www.tsu.ge/](http://www.tsu.ge/), <http://www.gruni.edu.ge/> და სხვ.

#### 10.სასწავლო პროგრამით სწავლების ორგანიზების სქემა:

დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამას ხელმძღვანელობს ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სტომატოლოგიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამის აკადემიური პერსონალით დაკომპლექტებას, სტუდენტთა სასწავლო/კვლევითი პრაქტიკის გავლის მიზნით აფორმებს ხელშეკრულებებს სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სამედიცინო დაწესებულებებთან სტომატოლოგიურ კლინიკებთან და სხვა სასწავლო/კლინიკურ ბაზებთან. კოორდინაციას უწევს თქვენი ჯანდაცვის ფაკულტეტის სამედიცინო კლინიკისა და ლაბორატორიის მუშაობის პროცესს.

#### 11.პროგრამის სტრუქტურა

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **300 ECTS კრედიტი** ნაწილდება შემდეგნაირად:

19 (ECTS) კრედიტი - ზოგადსაგანმანათლებლო სავალდებულო სასწავლო კურსები;

71 (ECTS) კრედიტი-ფუნდამენტურ დისციპლინათა სავალდებულო მოდული

63 (ECTS) კრედიტი-ზოგად კლინიკურ დისციპლინათა სავალდებულო მოდული

28 (ECTS) კრედიტი-თერაპიული სტომატოლოგიის მოდული

29 (ECTS) კრედიტი-ქირურგიული სტომატოლოგიის მოდული

32 (ECTS) კრედიტი-ორთოპედიული სტომატოლოგიის მოდული

42 (ECTS) კრედიტი-ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიის მოდული

16 (ECTS) კრედიტი-სპეციალობის არჩევითი საგნები

12.დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციას უზრუნველყოფს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტი, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, საჭიროების შემთხვევაში აფორმებს ხელშეკრულებებს პრაქტიკოს სპეციალისტთა ან/და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა უმაღლეს დაწესებულებაში დასაქმებული პირების პროგრამის განხორციელებაში ჩასართავად მოწვევის თაობაზე; პროგრამის რეალიზაციისათვის გამოიყენება თქუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, თქუ ბიბლიოთეკა, კომპიუტერებით, პროექტორებითა და საპროექციო ეკრანებით, ასევე სხვა სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, სტომატოლოგიური კლინიკა, საპროფესორო, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები (OPEN BIBLIO), უზრუნველყოფილია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში წვდომა (EBSCOHost – <http://search.epnet.com> (ელექტრონული ჟურნალები და წიგნები). ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლინკი <http://www.nplg.gov.ge/geo/dlibrary2>, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ლინკები, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბმულები: <http://fs.gallup.unm.edu>, <http://www.questia.com/library>, <http://www.gutenberg.org/catalog/> და სხვ.

### 13. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის სარეალიზაციოდ მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები გამოიყენება აკადემიური პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

### 14. პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტი, ჯანდაცვის ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე უფლებამოსილია მოიწვიოს უცხო ქვეყნის ან/და უცხოენოვანი პერსონალი პროგრამით განსაზღვრული სასწავლო დისციპლინების უცხო ენაზე წაყვანის მიზნით; გარდა ამისა, ჯანდაცვის ფაკულტეტი სტომატოლოგიის და ზოგად კლინიკურ დისციპლინებს სტუდენტებს სთავაზობს როგორც ქართულ (სწავლების ენა), ისე უცხო (ინგლისურ) ენაზე (მაგალითად, კარიესოლოგია, ზოგადი ქირურგია, კერძო ქირურგია).



**დანართების სახით იხილეთ:**

პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო გეგმა და სწავლის შედეგების რუკა - იხ. დანართი N1, N2, N3;

პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა - იხ. დანართი N4;

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე (CV) და საკონტაქტო ინფორმაცია - იხ. დანართი N5;